

ჩემი ოთასის ფანჯრიდან
ხშირად მოჩანს თეთრი ზღუ-
ლით დაფარული, მზის სხივე-
ბით აფერილი მყინვარი და
შორიდან მისი სმა ისმის
ვით სმა ნაწი ქალწულისა:
მოუარეთ საქართველოს!

მთვარიან ღამეში ბაგრა-
ტის ტაძრის ნანგრევები,
თაღხით მოსილ ჭირისუ-
ფალსაჲთ რომ დასცქერძან
ქუთაისს, უხმოდ მეტყვე-
ლებენ:

მოუარგეთ საქართველოს!

ზოგჯერ ქუჩაში წინ გადა-
მეღობება სულის მესაიდუ-
მლე შოთა და ბრძანების
კილოთი ამბობს:

მოუარეთ საქართველოს!

ღამის წყვდიადში ყურს
მოვეკრავ მდინარეთა გალობა-
სიზღერას; იწყებს მკვირ-
ცხლი რიონი; შემოსძახებს
გიჟმაჟი თერგი და ბანს ეუბ-
ნება ღინჯი შტკვარი:

მოუარეთ საქართველოს!

ნუთუ, ბატონო ჩემო, გუ-
შინწინ რომ კოკისპირულმა
წვიმამ დაასხა, არ გაგიგონი-
ათ გაუთაგებელი, გაბმული
ძახილი ყოველი წვეთისა—
მოუარეთ საქართველოს!

Б. И. Л. 1875



საქართველო იყიდება

იყიდება საქართველო — მის ტერიტორიაზე ძმურად მცხოვრები 80 ერისა და ეროვნების მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების, რაინდებისა და თავსაფრიანი დედაკაცების გმირული შრომით შექმნილი მრავალფეროვანი პროდუქციით!..

იყიდება საქართველო მთელ საბჭოთა კავშირში — შავი ლითონების ნაგლინითა და ფოლადის მილებით, პოლიმერებით, ავტომანქანებით, ნიადაგის დასამუშავებელი მანქანებით, ხელსაწყოებით, ტრიკოტაჟით, ჩაით და ღვინით...

იყიდება საქართველო საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებზე — მაგისტრალური, კოქსისმქრობელი და სამთამადნო ელმავლებით, წყალქვეშაფრთიანი კატარლებით, ლითონკონსტრუქციებით, ლითომჭრელი და პროგრამული მართვის ჩარხებით, ზუსტი ხელსაწყოებით, ელექტრომედულებითა და ტექნოლოგიური მოწყობილობით, კოშკურა ამწეებით, ელექტროძრავებით, სხვადასხვა თანამედროვე ხელსაწყოებითა და აპარატურით, ინტეგრალური სქემებით, ქვანახშირით, ქიმიური სასუქებით, ლითონის ნაგლინით, ფეროშენადნობებით, ახალ ახალ ტექნიკურ მოწყობილობა-დანადგარებზე ლიცენზიებით, შეკერილი ნაწარმით, ჩაით, კონიაკით, კულინარიული ცხიმით, კონსერვებით, თამბაქოთი. „ბორჯომით“!..

იყიდება ინგლისსა და ბელგიაში, შოლანდიასა და დანიაში, იტალიასა და ნორვეგიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფინეთსა და შვეიცარიაში, შვეციასა და იაპონიაში! — სულ მსოფლიოს 80 ქვეყანაში!

ყოველსავე ეკონომიკური ურთიერთდამარების საბჭოს წევრი ყველა სახელმწიფო, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი განვითარებადი ქვეყანა — ნაღდად და ნისიად!

„იყიდება“ ყველგან — საკონცერტო და საგამოფენო დარბაზებში, სპორტულ არენებზე, თეატრებსა და კინოთეატრებში, პავილიონებში, ქუჩებში და სახლებში, თვით-

მფრინავებში და გემებში, მატარებლებში და მეტროში, დილით და ღამით, სიცივეში და სიცხეში, დარში და ავდარში!..

„ჰყიდინ“ ყველა, ვინაც საქართველოს სახელი და დიდება გააქვს მთელ მსოფლიოში — მეცნიერები, მწერლები, რეჟისორები, კომპოზიტორები, ქორეოგრაფები, ლოტბარები, დირიჟორები, მოქანდაკენი, არქიტექტორები, მხატვრები, მომღერალ-მოცეკვავენი, მსახიობები, მუსიკოს-შემსრულებლები, სპორტსმენები!..

„ჰყიდინ“ — განუმეორებელ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს. კინოფილმებსა და თეატრალურ დადგმებს, მუსიკალურ და მხატვრულ ნაწარმოებებს, მეცნიერების მიღწევებს, ნიგნებს, ხალხური ხელოვნების ნიმუშებს!..

„იყიდება“ საქართველო ურიცხვი საზღვარგარეთელი ტურისტისა და სტუმრის თვალისთვის — მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, წარსულის ისტორიით, ნაქარგი ფარჩა-ხავერდით, ვაჟკაცური ხასიათით, სტუმართმოყვარეობით, დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით, ნაამაგვეი სახლით და კარით, ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით, მჩქეფარე ნაკადულებით, ლურჯის ზღვით, მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით, თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით, გონებაგახსნილ ვაჟებით, მალხაზი ბავშვებით, ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსაღებ მოხუცებით, კურორტებით, მღვიმე-ქალაქებითა და გამოქვაბულებით, განახლებული ქალაქებითა და სოფლებით, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლებით, მუზეუმებში თავმოყრილი უძვირფასესი ექსპონატებით, დიდებული სახალხო დღესასწაულებითა და მათი გვირგვინით — ზღაპრული თბილისობით!..

„იყიდება“ მთლიანად და ნაწილ-ნაწილ — აფხაზეთით და აჭარით, სამხრეთ ოსეთით, ქართლით და კახეთით, იმერეთით და გურთით, სამეგრელოთი და სვანეთით, მესხეთ-ჯავახეთით, რაჭა-ლეჩხუმით, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთ-ხევ-მთიულეთით!..

იყიდება საქართველო სამუდამოდ! ეს საქმიც კარგად მიდის და თვალს უბნელებს ყველა ა.ა. მტერს და გულს უხარებს ყველა მის მოყვარეს!



მეგობრული შარტი გაიშვა პირიქელისა
(„სალიტერატურო გაზეთი“, № 17, 1982 წ.)

პაოლო იაშვილი

1918 წ.

ნიკო ლორთქიფანიძე

ხარ მოელვარე, ვით სატევარი,
ემორჩილები მზეს და იაღონს!
მომეცი ნება, როგორც მწევარი,
ლექსი გაჩუქო ბუნებით ბატონს!

გაგიძნელდება ქვეყნის დანდობა,
მაგრამ ხარ მუდამ კეთილშობილი!
მიმონებს შენი დარდიმანდობა
და იშვიათი ჩვენში პროფილი!

სოფლის წითელა, ყვავილი, ხველა,
გამოტირილი და სამძიმარი!
შენ იმერეთმა დაგანადგვლა,
როგორც პოეტი და პატიმარი!

ფუქსავატ ხალხში ხარ განდგომილი
და შთაგონების ხარ ფალანგი!
თუ პოეზია, გულგაგლეჯილი,
ლღეს ძებნაშია ერთგულ სავანის, —

ჩვენი დათმობა შენთვის წესია,
დამშვენებულს ძმური თვისებით!
თითქოს გაგელოს შენ ვკლესია —
ცოდვილ სულების პარაკლისებით!

მაგრამ საყდარში ღრავის ელი
და რჩება ლოცვა გაუმართელი!
ხარ დიდებული ქუთაისელი
და შენ ბრძანდები დიდი ჭაბუკელი!

ერთი ჩუქავაქს ღვთაებაში მსყვარ მწერსინე
(სწრა) ბრძანებენ თუქს. ახრუნავ. ვით სარჩხავ:
საყვარ, აჩუქსი აჩუქსი აჩუქს, აჩუქს, აჩუქს!

აქედ ყოხილ აჩუქსი მსყვარ:
ახრუნავ, ჩუქსი მსყვარ
სიყვარული სახ მსყვარ?!

დღა სწრაფად ჩაჩუქსი მსყვარ აჩუქსი
ახრუნავ. ვით სარჩხავ: — აჩუქსი მსყვარ აჩუქსი,
აჩუქსი მსყვარ აჩუქსი?

პიპინია მიქელაძე მივიდა ალ. ნიჟარაძის დასაფლავებაზე.
შესასვლელთან იდგა კაცი და მოსთქვამდა:

— არ მჯერა, არ მჯერა, არ მჯერა, რომ შენ მეგობარი ხარ!

ასე იდგა, ხმამაღლა მოსთქვამდა და არავის არ აძლევდა საშუალებას,
შესულყო ოთახში.

პიპინია წინ წავიდა, მხარზე ხელი მოჰხვია და უთხრა:

— ჩვენ გვჯერა, ბატონო, და გაგვატარე! შენ, როცა დაიჯერებ, მაშინ
მიუსამძიმრე!

კავკასიის მეფის ნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილმა, აღდ-
გომა დამეს გასახსნილებლად მიიწვია უფროსი მოხელეები. მეფისნაცვალი
და ყველანი ფეხზე იდგნენ და ისე ჭამდნენ. დაჯდა მხოლოდ ედლინსკი.

— გამიგონე, ედლინსკი: რა განსხვავებაა პირუტყვსა და ადამიანს
შორის? — შეეკითხა დიდი მთავარი.

— ისა, რომ პირუტყვი ფეხდგომილა ჭამს, ხოლო კაცი კი დამჯდა-
რიო! — უპასუხა ედლინსკიმ.

სოლომონ ბრძენს უნდოდა, შეეტყო ხალხის ჭკუა და მგზავრობა
დაიწყო. შეხვდა ბებერი კაცი. სოლომონმა ჰკითხა:

— ორიანი რას გიპირობსო? (ე. ი., ფეხები როგორ გაქვსო).

— გამისამდაო! (ე. ი., ჯოხი მჭირდებაო).

— შორიანიო? (ე. ი., თვალეზიო).

— მომიახლოვდაო! (ე. ი., შორს ვედარ ვხედავო).

— ჯარიანიო? (ე. ი., კბილეზიო).


— აქა-იქაო.

მერე წელის გაღმა მწყემსი ნახა და დაუძახა:

— სადაური ხარ? რამდენი? სანამდისო?

— ათინელი ვარ. ათას წელთამდისო! — უპასუხა მწყემსმა.

მოგვანოდა ნიკო ლორთქიფანიძის შვილმა — მირაზ ლორთქიფანიძემ



პაროდია

მოკვდა.

დის ნაზს ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი; (არც ძმა ჰყოლია); მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში ცოლის თვალებს; ნაცნობებსაც არ მოუკითხავთ; უკანასკნელ წამს ნუგეში არ მიუღია სახლმმართველისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამწვინებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც უნდოდა. დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები!..

მოკვდა ზამთარში, მიოკარდის მაკროინფარქტით. თბილისის ერთ-ერთი მიკრორაიონის მე-3 მასივის მე-4 პასივის მე-5 კვარტალის მე-6 კორპუსის მე-7 სართულის ერთოთახიან ბინაში.

მეზობლების მიერ გამოძახებულმა „სასწრაფომ“ ცოცხალს ვერ მიუსწრო — თავი იმართლეს, მისამართს ვერ მივაგენითო!..

— ათასი სნეულებით იყო ავად, სპეკულანტებში მამასისხლად ნაყიდმა არავითარმა წამალმა არ იმოქმედა! — იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.

ცხედარი გაჭრეს.

პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

— შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!

ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— ბატონებო, გული, გული სადღაა?!

გულის მაგივრად ფერფლია დარჩენილიყო.

ელვა-დეპეშით 20 დღის შემდეგ გაგებული უბედურებისაგან თავზარდაცემული, სოფლიდან ჩამოსული დედა შევიდა თავისი ერთადერთი შვილის ობლადდატოვებულ, დაბალჭერიან, გაურემონტებელ ოთახში.

ქვითინებდა:

— ასე გამომიმეტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენის ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?

კედლიდან ცენტრალური გათბობის გაყინულმა რადიატორმა გასცა პასუხი:

— მე დავწვი!

— მე დავფერფლე! — ახრიალდა სასმელი წყლის გამწვარი ონკანი სამზარეულოში.

— მე დავაჭყნე! — გახმაურდა აქამდე დადუმებული ტელეფონის აპარატი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია.

გათუ მაღია

ნიკო ლორთქიფანიძის არქივიდან


ნიკო ლორთქიფანიძე ბავშვობიდანვე პაროდია ქართული ხალხური წიგნისტიკების ნიმუშებს: ანდაზებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, გადმოცემებს და ა. შ.

მას შეკრებილი აქვს თითქმის ათასამდე ანდაზა, რომელსაც უწოდებდა „დროშის“ რედაქცია სცემს თავისი „ბიბლიოთეკის“ სერიით.

გთავაზობთ რამდენიმე ანდაზას ამ კრებულიდან. ჩვენი აზრით, ისინი დღეისავე მტკიცე პუბლიცისტულია ზოგიერთათვის.

მერაბ ლორთქიფანიძე

- **ცარიელ** თავს თანამდებობა ჰქუას ვერ შემატებს!
- **თხის** წინიდან გეშინოდეს, ცხენის — უკნიდან და ცუდი კაცი — ყოველი მხრიდან!
- **ვირს** ყურებით იცნობენ და ხულებს — ხიტყვებით.
- **ეზოს** ნუ ეძებ — მეზობელი შეიძინე!
- **მმართვეს**, — ამას არ უნდა ფეცი, როდის გადვიდო, — ეს კი არ ვიცო!
- **ჩუმად** ცოდვას ვერ ჩაიდენ!
- **აპი** კაცი ნავერჩხალს ჰგავს — ხელს თუ არ დაგწვავს, გაგიშვებს მაინც!
- **სამართალს** ვერ მოხთხოვ უმცროსებს, თუ ისინი წილს აძლევენ უფროსებს!
- **გუთნის** დედას შავი ხელები აქვს და — თეთრი პური.
- **მიწა** ჯამია, რახაც ჩაგდებ შიგ, იმას ამოიღებ!
- **ხიზარმავე** სიღარიბის მასპინძელია.
- **იცხოვრე** შეძლებისდაგვარად და არა — სურვილისამებრ!
- **დაპარბული** ძროხა კი მეწველია.
- **ენა** გულის ცოცხია.
- **ვირი** დახრჩობას გადაარჩინებს და — რად ამოვიყვანეთ, თევზს ვიჭერდით!
- **ძალი** მორცხვი — ქვეყნის ფასი, ქალი ურცხვი — კვერცხის ფასი.
- **მუცელი** არის ხახა, მან ბევრი დაგლახა.
- **ვინც** ხშირად ისვენებს, ის სახლს ვერ აიშენებს.
- **პაცი** მცირეთი არ დიწუნება და ბევრით არ იქება.
- **ორნარი** კაცს ვერ გააძლებ ვერაფრით: იმას, ვისაც ცოდნა სწყუთია და იმასაც, ვისაც გამდიდრება უნდა!
- **დაძმონილი** ჭინჭი, მაგრამ მაინც აბრეშუმისაა.
- **მათამს** რომ მთელი ბათშანი ფეტვი დაუყარო, ქიქვას მაინც დაიწყებს.
- **მეფემ** მიწყალობა, მაგრამ მეძალეთუხუცესი არ მაძლევს.
- **პალამი** ხეა, ნაყოფი — სიტყვა და აზრი — ზღვა, რომლის მარგალიტს სიბრძნე ჰქვია.
- **მწუწი** ფუტკარს ჰგავს, რომელიც თავის მოაგროვებს და მოკვდება.
- **პარბი** ცოლის ქმარი ცუდიც ყოჩაღია.
- **ცოლის** შერთვა მარულა არ არის, მოესწრები!
- **უმიჯნოდ** მყეფარე ძალღი მადე დაბერდება.



„შავთა სიკვე“

ჩვენი მსუბუქი გაგანაგება

სამშობლო ენას თავიდანვე პატრონობა უნდა!

შეაყვარეთ ჩვენს მომავალ თაობას ენა დიდი რუსთაველისა, ნუ დააინყვებთ განვლილ ჟამთა სიღვეს და სვლინდელი ქვეყნის დიად შენობასთან თითო აგური მიატანინეთ!

მე რომ რაიმე გავლენა მეტონდეს, თვით აკაკისაც კი მივმართავდი თხოვნით, ათასგვარ დაუფასებელ სამშობლოსათვის შრომას ერთი, მისთვის არაჩვეულებრივი ღვაწლი დაუმატოს: პირადის მაგალითით აჩვენოს ჩვენს საზოგადოებას და სასწავლებელში ქართულის მასწავლებლად შევიდეს.

იპიტხა ბევრი გულისყურით მოგისმენენ ყველაზე უფრო დაუდგრომელნიც! გაეცი მეტი! უშურველად! ნუ მოითხოვ სანაცვლო პატივს! ცხოვრებისეულ ლელვა-ტორტმანში შენი ტვირთი ისე ატარე, რომ არც ფეხი და არც ხელი არ გაისვარო და ისე მიიტანე, რაც კი შეიძლოს, სამშობლოს სამსხვერპლოზე! და ენა შენი დაამკვიდრე სამარადჟამოდ!

„მინა ხარ და მინად მიიქცე! მინა იყო და მინად იქცა!“
არა! — ადამიანი მინა თავის დღეში არ ყოფილა. ადამიანი აზრია, გრძნობაა, სიყვარული, სიძულვილი, აღტაცება და სულმდაბლობა, სინდისი და უნაბუსობა.

ზოგიათი ეჩოსავით მუდამ თავისკენ მიითლის, რასაც სამშობლო უხვად აწვდის, და ერთხელაც არ იკითხავს, თუ რით არგოს ქვეყანას.

სამშობლოს მოღალატე პატიოსან ხალხს უნდა ერიდებოდეს და თამამად არ უნდა დადიოდეს!

არიან ხომ ადამიანები, რომელთაც დიდი წმინდა აზრი, მიზანი აქვთ... და მუდამ ერთგული რჩებიან მისი... ასეთ ადამიანებს არც სიკვდილის ეშინიათ, არც სინდისი პქენჯნით... განა არ შეიძლებოდა, ყველა ასე ყოფილიყო?

ანჰარა რუდ დაბადებული მდინარე აამღვრეს, გასვარეს — იმედი აქვს: ზღვას შეუერთდება და სილა და ტალღა მომშორდებაო. ხიდად გადებულ მუხას, ადრე მთელი სეობის სიამაყეს, ფეხქვეშ რომ ითელება — იმედი აქვს. წუხს წისკვილის ქვაც და მოხუცი მენისქვილეც... და მაინც რაღაცა იმედი აქვს.

მაგდარ სიცოცხლეს ცოცხალი სიკვდილი სჯობია!

ჩვენ ვაჩვენეთ ქვეყანას, რომ ვისაც სიცოცხლე სურს, მუშათა კლასს უნდა აედევნოს, რომ მხოლოდ მუშათა კლასია ის წარმოქმნილიც შემდეგში უწინამძღვრებს და მხოლოდ იგი მოსპობს უსამართლობას.

რადაცა და ვილაცა ყოველთვის შეგვიშლის ხელს, მაგრამ ბოლშევიკი რკინისა და ფოლადისა უნდა იყოს... ნაპერწკლებს უნდა ყრიდეს თავის თავთან შეტაკების დროსაც!..

ათასჯას რომ აძლევს შესაძლებლობას, თავისი ნიჭი და უნარი განავითაროს, აცდენილ გზიდან რომ სწორ გზაზე გამოიყვანოს, ეს არის სახელმწიფოებრივი წყობილება და პარტიული ხელმძღვანელობა!

როცა კაცი რწმენით აღჭურვილი მოქმედებს, მაშინ უფრო გულწრფელად, უფრო ღრმად ხნავს და თესავს.

ყოველ ჩიტს თავისი ბუდე უყვარს, ხოლო ბაყაყისათვის სულერთია, რომელ ტბაში მოხვდება.

შაღაველო ერო! შენ ხარ ურყევი ციხე!

...ერთი ბოროტება მეორესთან არის ყოველთვის დაკავშირებული... მოვალეობის დავიწყება იწვევს უნესო ცხოვრებას... ჩვენვე ვამზადებთ... ქურდს, ავაზაკს, მექრთამეს... ასეთი ადამიანები გვტყევენ სახელსაც და გვიმწარებენ ცხოვრებასაც, თორემ, გარწმუნებთ, ასე ვერ ითარეშებენ ჩვენს ზურგზე... ჩვენი დანაშაული, უმთავრესად, ის არის, რომ ასეთ კაცებთან ვერ ვწყვეთ ყოველთვის კავშირს.

...ყოველთვის თუ შერჩათ, უარესსაც იზამენ!.. შეგ მგონია, წყალი სათავეშივე უნდა დაინმინდოს! **...მაშინ** ამაყად ასწევს თავს მუშა და გლეხი!..

...პატიოსანი მშრომელი, მიწის მუშა გლეხი, უფრო მაღლა სდგას, ვიდრე სისხლით ხელეშესვრილი, ჯვრებითა და ჯინჯილებით შეჭედული გმირი, ან და, ჩვენი ნაოფლარით გასივებული, ოქროში ჩამჯდარი სოცდაგარი...

ზოგიათი... წარჩინების ნიშნებსა და პრემიებს ისე შეუპოვრად ჩააწყობს, რომ, თუ საჭირო გახდა, ზედ დაგაკლავს!..

საუკეთესო მდგომარეობაშია, როცა მიცვალებულს არაფერი რჩება, მაშინაც ჩნდებიან ამხანაგები და მისი სახელით უნდათ, რაიმე საქმე მოაგვარონ. თვით ცხედრის წინაშე ანგარიშობენ, თუ რა სარგებლობა გამოიტანონ მიცვალებულისაგან!.. ვის — სახელი სურს მოიხვეჭოს ლამაზი სიტყვებით, უტყვი ცხედარი ყველასათვის სახარებლობა.

ნახ. ჯ. ლელუაში



„მრისხანა ბატონი“



„მსუბუქი ლოტოზა“

„სმურს სმური მოყვება. თითო შიშა ორ-ორით შესცვალეს, მან-
ნის მამიკარ ბადია აიღეს ხელში და ჭიჭი ლოთოგაზე გადავიდა.
დარჩენ ბამოგრამადილი მსმელები.
ქიშოვია იყო მოსულთა და დამხდურთა შორის.
ორივე მხრიდან ხდბა რამდენიმე სრულიად გონებადაკარგული
ფანის განდართ, ენის გორჩილით“.

ნახ. ბ. შირცხალაშვილი



23-82

ტრადიციის გრძელობა



საქართველოს მწერთა კავშირი
საქართველოს მწერთა კავშირი
№ 22 (1632) ნოემბერი
ბათუმის 1923 წ. იმპრინტის

მთავარი რედაქტორი ზაურ ზოლქვაძე

საკრედიტო

კოლეგია:

მამია ამირაჯიძე,
ნოზი ბარბაქაძე,
ზორის გუგუშვილი,
ნოზი დუგაძე,
რამაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოზი მალაშვილი
(შეატარი-რედაქტორი),

ალექსანდრე საგონი,
ხელან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),

გიგლა შირცხალაშვილი,
ჯანსუკ ჩარკვიანი,
თამაზ წიგნიშვილი,
ვაჟა ზანიშვილი
(შთავარი რედ. მოადგილე),

ნახი ჯუსორი.

ტექნიკური რედაქტორი
მინილ კახალაშვილი

გადამცემი სასაქონლო
22. 10. 82 წ.
ხელმოწერილია დასაბამად
1. 12. 82 წ.
ქალაქის ზოგადი 70x100
წიგნიშური ნაბამდი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 2540
ტირაჟი 145.000.
ფურცელი გამოდის
ფურცელ ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

უე 14031

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: შთავარი
რედაქტორის — 99-55-54, შთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/შ მდივნის — 93-10-78, შთ-
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგებების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტერატურ-
ის — 99-02-38, მდივანი-გამგებ-
ის — 99-76-89.

Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 26 კაპიტი
ინფორმ 76137

